

K 57.454
3



საქართველოს სსრ

პოლიტიკური და მეცნიერული
ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება

თ. ოჩიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

კართველთა ქველი
სარწმუნოების გადმონაზოგი
და გათი რეაქციული პრის

№ 75

თბილისი

1954

215+902.7(+) (=95.962)

საქართველოს სსრ პოლიტკური და მეცნიერებლის
გამარჯვებული საზოგადოებრ



თ. მჩერა არ

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ქართველთა პცელი სახელმწიფოს
გამოყენებისათვის და მათი
რეაქციული ასცი

152.454
3

თბილისში წაგითშული ლექციის სტენოგრამა



1. სტრუქტურული პრინციპი
2. ქართული კანონის.

მ კ ი თ ხ ვ ა ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული
ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება გთხოვთ გვაც-
ნობოთ თქვენი აზრი ამ ლექცია-სტენოგრამის შესახებ.
თბილისი, ჭავარიძის ქუჩა № 4



რედაქტორი პ. რ. გ. ჩიტარა
ტექნიკური გ. ნანობაშვილი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე მიღებული წესდების თანახმად, „ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანიბით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების ძატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველხაირად განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან“.

კომუნისტური პარტია, რომელიც მშრომელ მასებში ნერგავს საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალ შეგნებას, ზრდის მათ საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების, სახელმწიფო ინტერესების დაცვისა და ამ მიზნით ყოველგვარი წინააღმდეგობის გადალახვის სულისკვეთებით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საბჭოთა ადამიანების სწორ იდეურ აღზრდას. „პარტიის იდეოლოგიურმა მუშაობამ, — ამბობდა ამხანაგი გ. მალენჯოვი XIX პარტიულ ყრილობაზე, — მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს კაიტალიზმის ნაშთებისაგან, ძველი საზოგადოების ცრუ-რწმენათა და მავნე ტრადიციათაგან ადამიანთა შეგნების გაშენდაში“.

ძველი საზოგადოების ერთ-ერთი ასეთი მავნე გადმონაშთია რელიგიური ცრურწმენები, რომლებიც ყრილედად, შაგრამ მაინც არსებობენ ჩვენი ხალხის ყოფაში. ამაზე თუნდ ისიც მიუთითებს, რომ ჩერ კიდევ შევხვდებით რელიგიურ დღესასწაულებისა თუ წესჩერულებების შესრულების ფაქტებს, ექიმბატების, მკითხავების, „ავი“ და „კარგი“ თვალის, „ბეღნიერი“ და „უბედურა“ დღის და სხვა მსგავს რწმენებს.

რელიგიური რწმენის გადმონაშთებისაგან ჩვენი ხალხის შეგნების განთავისუფლება კი აუცილებელი და გადაუდებელი ამოცანაა, ვინაიდან რელიგია, რომელსაც კარლ მარქსმა თავის დროზე ბანგი

უწოდა, ხელს უწყობს ინდივიდუალური სულისკვეთების გაღვივებას, თესავს სიძულვილს სხვადასხვა სარწმუნოების ხალხთა შეტყოფისათვის უკარგავს ადამიანებს საკუთარი ძალების რწმენას, ნერგავს „ბედი-სადმი“ პასიურობასა და მორჩილებას, ახშობს ბუნების მოვლენათა რეალური შეცნობის შესაძლებლობას და, ამდენად, ხელს უშლის მეცნიერების წარმატებებს, მეცნიერებისა, რომელიც წინ სწევს კაცობრიობას, აირალებს ადამიანებს ბუნების ძალებთან საბრძოლველად.

რელიგია, რომელიც ექსპლოატატორული კლასების ინტერესებს ემსახურება, დამახინჯებულად წარმოადგენს გარეშე სამყაროს და ადამიანს უუნაროს ხდის ბუნების მოვლენათა შეცნობაში, ასწავლის მას ბრძად სჯეროდეს, არ სწავლობდეს და არ იკვლევდეს; იგი დაინტერესებული არ არის მეცნიერების პროგრესით, ვინაიდან, რაც უფრო სრულყოფილი ხდება მეცნიერული ცოდნა, რაც უფრო მეტად შეიცნობს და იმორჩილებს იგი ბუნების ძალებსა და მოვლენებს, რაც უფრო წინ მიდის ტექნიკა, მედიცინა, რაც უფრო ინერგება მეურნეობაში მეცნიერული ცოდნა და სხვა, მით უფრო ვიწროვდება რელიგიურ შეხედულებათა მოქმედების არე და ამდენად საფუძველი ეცლება რელიგიას.

ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოში, სადაც მეცნიერება არ ნახული სისწრაფით მიღის წინ, სადაც კომუნიზმის დიალი შექნებლობანი მეცნიერების უკანასკნელი სიტყვით შექმნილი ტექნიკის საფუძველზე ხორციელდება, მით უფრო საჭირო და აუცილებელია რელიგიის ნაშთების სრული ლიკვიდაცია.

ამჟრიკელ მუშათა პირველ დელეგაციასთან საუბარში ი. ბ. სტალინმა განაცხადა: „პარტიას არ შეუძლია იყოს ნეიტრალური რელიგიის მიმართ და ის აწარმოებს ანტირელიგიურ პროპაგანდას ყოველ და ყოველგვარ რელიგიურ ცრურწმენათა წინააღმდეგ, იმიტომ, რომ პარტია მეცნიერების მხარეზეა, რელიგიური ცრურწმენანი კი მეცნიერების წინააღმდეგ მიღიან, ვინაიდან ყოველი რელიგია მეცნიერების საწინააღმდეგო მოვლენაა“.¹

საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუციის თანახმად, ჩვენს ქვეყანაში სარწმუნოების თავისუფლება აღიარებულია, ამდენად, რელიგიასთან ბრძოლა სარწმუნოების დევნის გზით კი არ წარმოებს,

¹ ი. სტალინი, ლეიინიშმის საკითხები, გვ. 232, გამოც. მე-10, 1935 წ.

არამედ მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის მეშვეობით ხორციელდება დება.

ვ. ლენინი წერდა: „ჩვენ უნდა ვებრძოლოთ რელიგიას. ეს მთელი მატერიალიზმისა და, მაშასადამე, მარქსიზმის ანბანია. მაგრამ მარქსიზმი ანბანზე გაჩერებული მატერიალიზმი არ არის. მარქსიზმი უფრო შორს მიდის. იგი ამბობს: უნდა ვიცოდეთ ბრძოლა რელიგიასთან, ხოლო ამისათვის საჭიროა მატერიალის ტურა და ავსენათ მასების სარწმუნოებისა და რელიგიის წყარო“¹.

რელიგიის წარმოშობისა და მისი არსის მეცნიერულ შესწავლას, გარდა იმისა, რომ ეს ისტორიულ მეცნიერებას მეტ-ნაკლებად ეხმარება წარსულის სურათის აღდგენაში, ამა თუ იმ რელიგიური სისტემის წარმოშობი სოციალურ-ეკონომიური ვითარების გამოვლინების საქმეში, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თვით რელიგიის გადმონაშთა წინააღმდეგ ბრძოლაშიც. ბრძოლის ეს გზა ჩვენ ქვეყანაში, სადაც რელიგიის სოციალური ძირები უკვე მოსახლეობით, ერთადერთი სწორი გზაა, იგი ანგრევს, საფუძველს აცლის რელიგიურ ცრუტიზმენას, ვინაიდან იქ, სადაც მეცნიერებაა, რელიგია ფეხს ვერ მოიკიდებს.

* * *

როდესაც რელიგიას ვეხებით, უპირველეს ყოვლისა უნდა განვასხვაოთ წინა კლასობრივი საზოგადოების რელიგია კლასობრივი საზოგადოების რელიგიისაგან. წინა კლასობრივი საზოგადოების რელიგიის საფუძველს წარმოადგენს ადამიანის უძლეურება ბუნების მოვლენათა შეცნობაში, ქედის მოხრა მის ძალთა წინაშე, ხოლო კლასობრივი, ექსპლოატორული საზოგადოების რელიგიის საფუძველი გაბატონებული კლასების მიერ დაბეჭავებული მშრომელი მოსახლეობის ჩაგრაში მდგომარეობს.

რელიგიის წარმოშობა თავისი საწყისებით კაცობრიობის ისტორიის უძველეს საფეხურს უკავშირდება. იგი პირველყოფილ-თემური საზოგადოების წიაღში ჩაისახა და განვითარდა.

პირველყოფილი ადამიანი, რომელსაც მეტად მარტივი ტექნიკური შეიარაღება ჰქონდა, სუსტი, უცოდინარი და უძლეური იყო ბუნების მოვლენებთან საბრძოლველად. იგი ყოველ ნაბიჯზე ხვდე- 262

¹ ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 15, გვ. 496.



ბოლა წინააღმდეგობას, ეკახებოლა ძალებს, რომლებიც მას ჰქოვდათ და დასახურდნენ, მაგრამ ამ წინააღმდეგობის გადალახვა შეასრ შეეძლო. ცოცხალი ორგანიზმების აგებულებისა და მოქმედების უკიდურესად სუსტი ცოდნის გამო, მისთვის სრულიად გაუგებარი და აუხსნელი იყო ისეთი მოვლენები როგორიც არის დაბადება, სიკვდილი, ავადყოფობა, ძილი და სიჩმარი, გულის წასევა და სხვა; ასევე გაუგებარი იყო მისთვის ბუხების მოვლენების — წვიმისა და გვალვის, ჰექა-ქუხილის, წყალდიღობის, მოსავლიანი და მოუსავლიანი წელიწადის, ნადირობაში მარცხისა და გამარჯვების მიზეზები და სხვა მრავალი.

პირველყოფილ ადამიანს, რომელიც თითქმის სავსებით ბუხებაზე იყო დამოკიდებული, სხვა არაფერი რჩებოდა, თუ არა მორჩილება ბუხების ძალთა წინაშე. ეს მორჩილება და უძლურება თავისთავად წარმოშობდა ბუხდოვან და დამახინჯებულ წარმოდგენებს გარეშე სამყაროზე. ყოველგვარი წინააღმდეგობა და აუხსნელი მოვლენები პირველყოფილი ადამიანის წარმოდგენით ზებუნებრივ ძალთა ჩარევის შედეგს წარმოადგენდა. მას მიაჩნდა, რომ მთელი სამყარო დასახლებული იყო უხილავი არსებებით, რომლებიც განაგებდნენ, მართავდნენ ადამიანთა ცხოვრებას და ბუხების მოვლენებს; რომ მათზე იყო დამოკიდებული ავიც და კარგიც, მარცხიც და გამარჯვებაც. „ამ სხვადასხვა ყალბ წარმოდგენას ბუნებაზე, თვით ადამიანის არსებაზე, სულებზე, ჯადოსნურ ძალებზე და ა. შ. — წერს ფ. ენგელი, — უმეტეს წილად მხოლოდ უარყოფითი ეკონომიური პირობები უდევთ საფუძვლად; წინაისტორიული პერიოდის დაბალ ეკონომიურ განვითარებას თვითი დამატების სახით, ხოლო ზოგჯერ პირობისა და მიზეზის სახითაც კი შემცდარი წარმოდგენები ჰქონდა ბუნებაზე“. ¹

ეს მცდარი წარმოდგენები პირველყოფილ ადამიანს რეალობად მიაჩნდა. იგი ქმნიდა რელიგიას, იგონებდა თავისი თაყვანისცემის ობიექტებს, მიაწერდა მათ ზებუნებრივ თვისებებს, ძალასა და უნარს.

ყოველგვარი რწმენა-წარმოდგენები ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლასთან ერთად იცვლებოდა; რელიგია, როგორც

¹ ფ. ენგელის. წერილი კ. შეიდ წ. 1890 წ., კ. მარქსი და ფ. ენგელი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 600, 1950.

ზედნაშენი აატეგორია, ამა თუ იმ საზოგადოებრივი შეკობის წარმოშობის
მონაქმნის და მის მსახურს წარმოადგენს.



უძველესი რელიგიის, მისი წარმოშობისა და განვითარების სა-
ფეხურების მიკვლევას მეცნიერები ახერხებენ იმ მრავალრიცხო-
ვანი გადმონაშთების წყალობით, რომლებიც ამა თუ იმ ხალხის ეთ-
ნოგრაფიულ სინამდვილეში გვხვდება. ამ მხრივ განსაკუთრებული
ყურადღება ენიჭება განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალ-
ხების, სახელდობრ, ავსტრიალიელების, ცეცხლმიწელების, ბუშმე-
ნების, წყარი იკეანის კუნძულთა მცხოვრებლებისა და სხვათა
ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლას. ამ ხალხების ყოფაში მრავლად
და ცოცხლად არის შემონახული ისეთი რელიგიური ხასიათის გად-
მონაშთები, რომლებიც თავისი წარმოშობით რელიგიის განვითა-
რების აღრეულ საფეხურებს განეკუთვნებან.

გარდა ეთნოგრაფიული მონაცემებისა, ამ მხრივ დიდი მნიშვნე-
ლობა ენიჭება მატერიალური კულტურის იმ საგხებს, რომლებიც
უძველესი ხანის სამარხებშია ნაპოვნი, აგრეთვე პირველყოფილ
ადამიანთა სადგომ გამოქვაბულებში შემონახულ ნახატებსა და ნივ-
თებს. ასეთი გამოქვაბულები მრავლად მოიპოვება დედამიწის ზურ-
გზე. ისინი შემორჩენილნი იყვნენ და არიან განვითარების მაღალ
საფეხურზე მდგომ ხალხთა ტერიტორიაზედაც — სსრ კავშირში, ეს-
პანეთში, საფრანგეთში და სხვ. ამ გამოქვაბულებში, გარდა კედლის
მხატვრობისა, აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა ქანდაკებები. კვლევა-
ძიებამ დაადასტურა, რომ უძველესი ადამიანის მიერ შესრულებულ
მხატვრობას ჰადოსნური დანიშნულება ჰქონდა; მაგიკოს მხატვარს
კედლზე გამოჰყავდა იმ ცხოველთა გამოსახულებები, რომლებზე-
დაც ნადირობას აპირებდა, რომელთა გამრავლებაც სურდა და სა-
სურველი შედეგის მიღწევის მიზნით მათზე მაგიურ მოქმედებას ახ-
დენდა.

ამგვარად, სხვადასხვა ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწ-
მებული რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა, არქეოლოგიური და
ენობრივი მონაცემების შესწავლა შესაძლებელს ხდის დადგენილ
იქნას რელიგიის წარმოშობის მიზეზები, გამოვლინდეს ის ფაქტო-
რები, რომლებიც ხელს უშეიობდნენ რელიგიის განმტკიცებას, გაირ-
კვეს მისი ნამდვილი არსი.

ყოველგვარი რელიგიი ძირითადად სამი ელემენტისაგან შედგე-
ბა, სახელდობრ, რწმენისა, წარმოდგენისა და კულტისაგან.



როდესაც განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ადამიანის მიაჩნია, რომ სამყაროს ზებუნებრივი ძალები ან სულები განვითარები ბენ, მას ეჭვი არ ეპარება ამ ძალთა თუ სულთა რეალობაში, დარწმუნებულია, რომ ეს სული მართლაც არსებობს, რომ მას „შეუძლია თავისი სურვილისამებრ წარმართოს მისი ცხოვრება თუ სხვა რამ მოვლენა. რწმენასთან ერთად ჩნდება წარმოდგენაც იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშვნენ, რისი ძალა და უნარი შესწევთ, რა ხასიათის ან რა გარეგნობისანი არიან ეს სულები თუ ღვთაებები და სხვ. ასეთი წარმოდგენების საფუძველზე ჩნდება მითოლოგია. სხვადასხვა ხალხის მითოლოგიურ გადმოცემებში, ნათლად არის ასახული ის წარმოდგენები, რომლებიც ამ ხალხს თავისი ღვთაებებისა თუ სხვადასხვა ზებუნებრივი არსებების შესახებ აქვთ.

რაკი ადამიანი ამ სულებსა თუ ღვთაებებს ყოვლის „შემძლებლობას მიაწერდა, რაკი თვლიდა, რომ მათზე იყო დამოკიდებული მისი ბედ-იღბალი, ბუნებრივია, იგი ყოველნაირად შეეცდებოდა მათი კეთილგანწყობილების მოპოვებას. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო ისეთი მოქმედების ჩადენა, რაც მათ გულს მოუგებდა, ასიამოვნებდა და მოისყიდდა. საამისოდ ადამიანი მიმართავდა ლოცვას, მსხვერპლის შეწირვას, სხვადასხვა რიტუალების შესრულებას, იცავდა ოლქვეთებსა და სხვ. ეს მოქმედებები კი, ერთად აღებული, კულტს ქმნიდა.

ამგვარად, ეს სამი აღნიშნული ელემენტი — რწმენა, წარმოდგენა და კულტის რელიგიას ქმნის. ხალხთა ეთნოგრაფიულ ყოფაში დაცულია ძველი იდეოლოგიის ისეთი გადმონაშთები, რომლებიც, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, რელიგიის წინა საფეხურს წარმოადგენს. ასეთია მაგრა ანუ ჯადოსნობა. მაგრა რელიგიურ მოქმედებებთან შერწყმული სახით არის წარმოდგენილი. დამოუკიდებლად, როგორც იდეოლოგია ამა თუ იმ ხალხისა, იგი არ გვხვდება. მაგრის დროს ადამიანი ცდილობდა თავისი ნებისთვის დაემორჩილებინა „ზებუნებრივი“ მოვლენები, ზემოქმედება მოვხდინა მათზე, წარემართა მათი მოქმედება თავის სასარგებლოდ. იგი კი არ თხოვდა, კი არ ეხვეწებოდა და ეფერებოდა ზებუნებრივ ძალებს, არამედ თვითონ ცდილობდა აეძულებინა ბუნების ძალები და სხვა მოვლენები ისე ემოქმედნათ, როგორც ეს მისოვის ხელსაყრელი იყო. თავის მოქმედებას იგი ზებუნებრივ ძალთა ჩაურევლად აწარმოებდა. ეს მოქმედება წმინდა მექანიკური ხასიათისა იყო, ზოგ

ჯვრ კი მას სიტყვიერი ფორმულაც ახლდა. მაგინს დროს არავითა-
რი მსხვერპლის შეწირვა არ ხდებოდა.

კონკრეტულ მაგალითებს თუ გახვიხილავთ, მაგინ შემდეგზე
მდგომარეობს: როდესაც, მაგალითად, განვითარების დაბალ საფე-
ხურჩე მდგომი ადამიანი სანადიროდ მიღიოდა, იგი ხატავდა იმ
ცხოველის მსგავს გამოსახულებას, რომლის მოქვლაც სურდა, და
შემდეგ მისი მოკვლის ცერემონიალს ასრულებდა. ამ მოქმედების
ჩატარების შემდეგ იგი დარწმუნებული იყო, რომ ნადირობიდან გა-
მარჯვებული დაბრუნდებოდა. ასევე იქცეოდა იგი იმ შემთხვევა-
შიც, როდესაც მტერი ჰყავდა და მისთვის ზიანის მიყენება უნდოდა.
მისი წარმოდგენით, მოქმედებას მსგავსი მოქმედება უნდა გამოეწ-
ვია. ასეთ მაგიას მსგავსების პრინციპი უდევს საფუძვლად. გარდა
მაგიის ამ სახეობისა, გვხვდება ისეთი მოქმედებებიც, როდესაც მა-
გიონის სასურველი შედეგის მიღწევას ცდილობდა იმ საგანზე მოქ-
მედებით, რომელიც რაიმე კავშირში ყოფილა, ვთქვათ, მის მტერ-
თან. მთელის ნაწილზე მოქმედება პირველყოფილი ადამიანის წარ-
მოდგენით თვით მთელზედაც გადადის. მაგალითად, ფრჩხილზე,
თბაზე, ტანისამოსის ნაწილზე, ნერწყვზე და სხვა მსგავსზე მაგიუ-
რი მოქმედების ჩატარება მორწმუნეთა შეხედულებით გავლენას
ახდენს ამ ნაწილთან კონტაქტში მყოფ ადამიანზეც.

როგორც კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომ, ისე კულტუ-
რულად დაწინაურებულ ხალხთა ეთნოგრაფიულ ყოფაში ჯადოქრო-
ბის უამრავი მაგალითები დასტურდება. თუ ამ თვალსაზრისით
ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს გადაცხედავთ, დავრწმუნდე-
ბით, რომ უძველესი მაგიური წეს-ჩვეულებები ფართოდ იყო გავ-
რცელებული საქართველოს მქვიდრთა ძველ ყოფაში. ამ წესებმა და
რწმენა-წარმოდგენებმა რელიგიასთან შერწყმული სახით თვით
ჩვენს დროမდე შემოინახეს. სანიმუშოდ შევეხებით რამდენიმე
მათგანს.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში დამოწმებულია დარ-ავდრი-
სათვის განკუთვნილი წესი, რომელსაც ლაზარობა ეწოდება. „ლა-
ზარეზე დავლას“ იმ შემთხვევაში მიმართავდნენ, თუ გვალვას და-
იჭერდა, ანდა გადაუდებლად წვიმდა. ჭირნახულის წახდენის ში-
შით შეშფოთებული მორწმუნე გლეხები დარ-ავდრის ლვთაება ელიას
შველის შესთხოვდნენ და ამავე დროს შემდეგ წესსაც ასრულებ-
დნენ: სოფლის ახალგაზრდა ქალიშვილები და პატარძლები შეიკ-

რიბებოდნენ, გააკეთებდნენ თიხის, ზოგ შემთხვევაში ციცქვის გვინას, რომელსაც ლაზარეს ეძახდნენ და სოფელში კარდაკარ ჩიტჩილია ივლიდნენ შემდეგი სიმღერით:

„ამ ლაზარე, ლაზარე,
ლაზარ მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა,
ცხავი აცხავებულა,
წვიმა გაჩქარებულა,
ღმერთო, მოგვეც ცის ნამი,
ალარ გვინდა მზის თვალი...“

ასეთი სიმღერით კარზე მისულ ქალებს ოჯახის უფროსი სახლიდან სანოვაგეს გამოუტანდა და თანაც მოულოდნელად ყველას წყლით გაწუწუვდა. განსაკუთრებით ცდილობდნენ ლაზარედ წოდებული თოჯინს დასველებას.

სიმღერის ამ ტექსტს გვალვის დროს ასრულებდნენ, გადაუღებელი წვიმის დროს კი სიტყვებს, სადაც წვიმის მოსელაზეა ლაპარაკი, შემდეგით ცვლიდნენ:

„დარი გადარებულა,
წვიმა აჩქარებულა.
ღმერთო მოგვეც ტალახი,
ალარ გვინდა გორახი...“ და სხვ.

ამ დროს ქალებს წყლის დასხმის მაგივრად ნაცარს მიაყრიდნენ.

გვალვის შემთხვევაში, როდესაც ქალები კარდაკარ ჩამოვლას მორჩებოდნენ, გუთანს წაიღებდნენ და ხევში ჩავიდოდნენ, შიგ ხარებივით შეებმებოდნენ, გუთნისდედას აირჩევდნენ და გუთანს წყალში გაატარ-გამოატარებდნენ, — წყლის მოხვნის ინსცენირებას შეასრულებდნენ. ამის შემდეგ შეგროვილი სანოვაგით პურობა, ე. წ. საღმრთო იმართებოდა.

ამ წეს-ჩვეულებაში ქალების წყლით დაწუწვა და გუთნით წყლის მოხვნა წვიმის მოყვანის ე. ი. მსგავსი მოქმედების გამოწვე-

ეს სურვილით შესრულებული აშკარა მაგიის მაგალითებია, რომ—
ლებიც ჩელიგიასთან შერწყმული სახით არის შემონახული. / ერთოვენა
შემონახული / განვითარებასთან შესები ჩვენში განსაკუთრებით მრავლად
არის დაკავშირებული — მიწათმოქმედებასთან, მეცნიერებასთან.

ქართველი გლეხი რაციონალურ წესებთან ერთად ირაციონალური
ხასიათის მრავალ მოქმედებას მიმართავდა კარგი მოსავლის უზ-
რუნველსაყოფად. მაგალითად, ხნული ხშირ და გრძელწევრიან კაცს
უნდა დაეთვის, რათა ყანა მის წვერსაყით ხშირი და მაღალი გამო-
სულიყო. ასევე, ოევის ღროს საგანგებოდ მოხარშული სქელი და
ერბოიანი კორკოტი გუთნისდედას რაც შეიძლება მეტი უნდა ეჭა-
მა — მარცვალი ჩემსაყით გაიბეროსო. ასეთსაც წესებს მიმართავ-
დნენ მეცნიერებასთან დაკავშირებითაც. ქართლში, მაგალითად,
როგორის დამთავრების შემდეგ გაზის ყურძნის მტევანს შეაჭყლეტ-
დნენ და მის ძირში მსუქან ბავშვს შეაგორებდნენ, — მომავალში
ასეთივე მსხვილი და ბარაქიანი მტევნების მოსხმის მიზნით.

მაგიური წესები სრულდებოდა შინაური საქონლის, ფრინველი-
სა და სხვათა გამრავლების მიზნითაც. მაგალითად, იმერეთში
იცოდნენ „ქათმის ფერხვის“ რატუალი, რომელც შემდეგში მდგო-
მარეობდა: მწარე გოგრას თავს მოხდიდნენ და შიგ გაუცეხველ ღო-
მის მარცვალს ჩაყრიდნენ. იქვე გოდორი უნდა მდგარიყო, რომელ-
ზეც ბავშვი დადგებოდა და დაიწყებდა ტრიალსა და კრუსუნს. ხელ-
ში მას ქათმის კვერცხი ეჭირა. გოდორს, რომელზედაც ბავშვი იყო
ასული, გარშემო სხვა ბავშვები უვლიდნენ და წიწილებივით წივ-
წივებდნენ. ბავშვი გოდორზე სამჯერ შეძოტრიალდებოდა და იტ-
ყოდა: ღმერთო, ასე გაამრავლე ჩვენსას ჭუჭულები და ქათმები“. შემდეგ გადმოხტებოდა, კვახს ფეხს დაპკრავდა და ღომის მარცვალს
იქეთ-იქით. მიმოაბნევდა. აქაც, რელიგიასთან ერთად, რომელიც
ღმერთისადმი მიმართვაში მდგომარეობს, მაგიის თვალნათელი ფაქ-
ტებია წარმოდგენილი.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დამოწმებული მრავალი
წეს-ჩვეულება, მაგალითად, მოტეხილი ან მოცვლილი კბილის ძნე-
ლად საპოვნელ ადგილას გადაგდება, მოჭრილი თმის დამალვა და
სხვა, თავდაპირველად მტრის ზემოქმედებისაგან თავდაცვის მიზნით
სრულდებოდა.

როგორც აქ მოყვანილი მაგალითებიც მიუთითებენ, მაგიური
წეს-ჩვეულებები თვისი შინაარსით სავსებით შეესატყვისება კა-

ცობრიობის განვითარების მეტად დაბალ საფეხურს, საფეხური, როდესაც ადამიანს თავისი უაღრესად დაბალი ცოდნისა და უძვირესი კური შეიარაღების საფეხველზე არ შეუძლია პრაქტიკულად, რეალური ხერხებით იბრძოლოს როგორც კარგი მოსავლის უზრუნველსაყოფად, ისე გარეული ნაღირის თავდასხმისა და სხვა უბედური შემთხვევებისაგან თავის დასახლვევად.

* *

მაგიური რწმენა-წარმოდგენებისაგან განსხვავებით, რელიგიას ახასიათებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რწმენა ზებუნებრივი არსებებისა, რომელთა გულის მონადირებასაც ადამიანი ცდილობს. აღნიშნული იყო ისიც, რომ პირველყოფილი ადამიანის წარმოდგენით, ბუნების მოვლენებსა და ადამიანთა ცხოვრებას ბუნებრივი არსებები, თავდაპირველად სულები განაგებდნენ.

რელიგიის ისტორიაში ცნობილია, რომ ვიდრე ადამიანი ამ სულებს, ზებუნებრივ არსებებს „აღმოაჩენდა“, მან მთელი სამყარო გააცოცხლა, გაასულიერა, ბუნების მოვლენებს სული ჩაუდგა. წყლის მოძრაობა, ქვის გორეა, ლრუბელთ მოძრაობა, მცენარეთა ზრდა, აყვავება, ნაყოფის გამოტანა და ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი სხვა ოვისებები აღნიშნულ საგანთა თუ მოვლენათა სიცოცხლეზე მიუთითებდნენ. ადამიანისაბრეის ხე ისევე ცოცხალი იყო, როგორც ოვითონ იგი. ქართულ ხალხურ ზეპირსატყვიერებაში და ეთნოგრაფიულ ყოფაში ბუნების მოვლენათა გასულდგმულების უამრავი მაგალითი გვხვდება. მოვიგონოთ თუნდაც საყოველთაოდ ცნობილი ხევსურული თქმულება ხოგაის მინდის შესახებ, რაზედაც შემდეგ ვაჟა-ფშაველამ ააგო თავისი უკვდავი პოემა „გველის მჟამელი“. თქმულების თანახმად, ხოგაის მინდს ესმის მცენარეთა და ცხოველთა ენა. როდესაც იგი შიდის, ყვავილები შემოსტირიან — ნუ გავგსრეს, ფეხს ნუ დაგვადგამო; როდესაც ყანას მკის, მწიფე, თავთავები ემუდარებიან — ჯერ მე მოჭერი, ნუ დამტოვებ, სეტყვა მომისწრებსო. მას ფრინველების ენაც ესმის, ბალახებისაც.

ქართულ-ზღაპრებში ბუნების საგანთა გაცოცხლების უამრავი მაგალითი მოწმდება. მაგალითად, ხე ცოცხალია, მას ცრემლები სდის, ლაპარაკი ესმის, მისი წვენი სისხლია, ასევე ცოცხალია წყალი და სხვ. ბუნების საგანთა გაცოცხლებაზე უნდა მიუთითებდეს ქართველ ტომებში შემონახული შემდეგი წეს-ჩვეულება: თუ რომელი-



მე წილის ხე არ მოისხამდა, პატრონი წამოავლებდა ცულს ხელში და მოისამდებრებდა ხეს მიაღებოდა. ამ დროს იქ უნდა ყოფილიყო ვინმე სხვა კაცი. როდესაც პატრონი დასაჩრდებულია ხეს ცულს მოუღერებდა, მას ეს მეორე კაცი შეაჩერებდა და ჰკითხავდა:

— რა დაგიშავა, რას ერჩი?

— უნდა მოვჭრა, არ მოისხა, -- უპასუხებდა მუქარის კილოთი პატრონი.

— წელს ნუ მოჭრი, აპატიე და გაისად მოისხამსო, — შევეღრებოდა პატრონს „შუამავალი“ კაცი. ამის შემდეგ ორივენი უკან დაბრუნდებოდნენ, დარწმუნებულნი, რომ ხე შეაშინეს და იგი მომავალში ვეღარ გაძედავს ნაყოფი არ გამოიღოს.

თუ პირველ ხანებში ადამიანმა ბუნების მოვლენები და საგნები მხოლოდ გააციცხლა, განვითარების შემდგომ საფეხურზე, მისი წარმოდგენით, მათ უკვე საკუთარი სულები ჰყავთ. ასეთი სული ჰყავს მდინარეს, ქვეს, ხეს, კლდეს, გორაქს, მთას, ცეცხლს, მცენარებს, ცხოველებს, ადამიანებს, მისი სხეულის ცალკეულ ნაწილებს და სხვა. მეცნიერები რელიგიის განვითარების ამ საფეხურს ანიმიზმს უწოდებენ, რომელიც მომდინარეობს ბერძნულ სიტყვა „ანიმა“-დან, რაც სულს ნიშნავს.

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში და ხალხურ ზეპირ-სიტყვიერებაში ანიმისტური რწმენა-წარმოდგენების უამრავ ფექტი ვადასტურებთ. სანიმუშოდ შევეხებით რამდენიმე მათგანს. ქვა, რომელიც უსულო საგანია, თავის ღრმოზე ცოცხალ არსებად და შემდეგ სულის შემცველად იყო წარმოდგენილი. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული ქვის თაყვანისცემის მაგალითები გენეტიკურად ანიმისტურ რწმენას უკავშირდება. ჩვენი წინაპრების სარწმუნოებრივი შეხედულების თანახმად, ქვას ზებუნებრივი ძალა ჰქონდა.

ისინი ეთაყვანებოდნენ წმინდად მიჩნეულ ქვებს, შესთხოვდნენ შევლასა და დახმარებას, ოჯახის ბარაქებასა და ნაყოფიერებას. | ქვის კულტის მაგალითებს საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში ვალასტურებთ. განსაკუთრებით ცოცხლად იყი სვანეთის ქველმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოიხახა. ასე მაგალითად, სოფ. სეტის (მესტია) მცხოვრებ ნაკანის ოჯახს ჰქონდა წმინდა ქვა „ბაჩი გვიგ“, რომელიც სახლის დილეგში იყო მოთავსებული. ყოველ ახალ მთვარეზე, განთიადისას ოჯახის უფროსი შეკაწირავი პურებით, სან-



თლითა და არაუკით ჩადიოდა და ამ ქვას სიუხვესა და ოჯახის მიერ განვითარებულია თხოვდა. ლოცვის დროს მახვეწარი ქვას ხელს შეახებდა: თუ იგი დანორტივებული, ცრუმორტმუნეთა წარმოდგენით— „გაოფლიანებული“ აღმოჩნდებოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ქვა მათზე განრისხებულია. ასეთ შემთხვევაში მას შეეძლო ოჯახისათვის ზიანი მიეყენებინა, საქონელი და ხალხი დაეზარალებინა. მოსალოდნელი უბედურების თავიდან აცილების მიზნით საჭირო იყო ლოცვა და შესაწირავების მირთმევა, რაც მორტმუნე სვანის წარმოდგენით, საკმაოდ კარგად მოქმედებდა გამშეცრალ სალოცავზე.

ასეთივე ხასიათის წმინდა ქვა, ე. წ. „ჩხეუდა“ მოთავსებული იყო ლაშერის მცხოვრებ პაკელიანის კალიზეც. ამ ქვას გარშემო პატარა ქვები ჰქონდა შემოწყობილი, რომლებიც, ხალხის წარმოდგენით, მისი შვილები იყვნენ. ეს ქვა ითვლებოდა ოჯახისათვის ბარაქის მიმცემად, ადამიანებისა და საქონლისათვის მარცხის ამცილებლად, გამრავლებისა და ბარაქის მომტანად. ამ ქვას ლოცვაცედრებით მიმართავდნენ, თუ ვინმე ავად გახდებოდა, მაშინაც მას შესთხოვდნენ შველას.

ქვის კულტზე მიუთითებს აგრეთვე, ქვისაგან გამოკვეთილ ცხოველთა გამოსახულებების თაყვანისცემის გადმონაშთები, ქართულ ზღაპრებში შემონახული მოტივები გაქვავებულ ადამიანთა შესახებ და სხვა. ქვის კულტის აშკარა მაგალითია აგრეთვე, მანგლისის რაონში დამოწმებული რწმენა ქვის შესახებ, რომელსაც ადგილობრივ „ამყე მამიდას“ ეძახიან. „ამყე მამიდა“, მორტმუნეთა წარმოდგენით, მაგიური ძალის შემცველია. მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ამინდზე, შეუძლია წვიმია მოიყვანოს, ანდა პირუკუ.

ქვის კულტის მაუწყებელია შემდეგი ცნობაც, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი გვაწვდის: თუ შებს „აქუთ კლდე ღიდი და მაღალი და... მივლენ და შესწირავენ მას კლდესა ცხოვარსა და ძროხასა და თაყვანს სცემენ კლდესა მას, და რა აიგი ესმის კლდისა მისგან, რწამთ უმეტეს ყოვლისა იგი“¹.

ქვის კულტთან ერთად ქართველ ტომებში ფართოდ იყო ფეხ- მოკიდებული ხის თაყვანისცემაც. ხე, ჩვენი წინაპრების წარმოდგენით, ცოცხალი არსება იყო, მას თავისი სული გააჩნდა, იგი წმინდა არსებების, ღვთაებების სადგური იყო. ხის კულტის არსებობაზე მი-

¹ ვახუშტი, პლიტრა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), გვ. 105, თბ. 1941 წ.



უთითებენ როგორც ისტორიული წყაროები, ისე ეთნოგრაფიული მონაცემები.

საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში გვიანობამდე შემორჩენილი იყო წმინდად მიჩნეული ხეები. სვანეთში ასეთი ხე ყველა სოფელში იდგა და შემოღობილი იყო ქვის ლოდებით. ორსებობდა შეხედულება, რომ ხე მფარველობას უწევს ადამიანს, რომ მასთან ახლო ყოფნა მის ძალასთან ზიარებას გამოიწვევს. აფაზეთში, მაგალითად, ყოველ გვარს თავისი ხე ჰქონდა. იქ, სადაც ძველად საკულტო ხასიათის ადგილ-სამღლოცველოები იყო მოთავსებული, ბევრგან ჯერ კიდევ შევხდებით ასწლოვან ხეების ჭგუფს, ზოგჯერ კი მცირე ზომის ტყესაც. ასეთი ხეები წმინდად ითვლებოდა: მორწმუნეთა წარმოდგენით, მათი მოჭრა ღვთაების საშინელ ჩისხას იწვევდა და „დანაშაულის“ ჩამდენი სასტიკ სასჯელს ვერ გადარჩებოდა, ან ავად განდებოდა, ან სამუდამოდ დასახიწრდებოდა, ან საქონელი და მოსავალი უზარალდებოდა და ა. შ.

ქართლში საყოველთაოდ ცნობილი იყო რკნის წმინდა ცაცხესი ხე, რომელზეც უამრავი შესაწირავი იყო ჩამოკიდებული და ოეთრი ძაფებით შემოტლებული.

სამეგრელოში ხის თაყვანისცემის უტყუარ მაგალითად უნდა ჩაითვალოს ძველ საქართველოში განთქმული „პყონდიდა“, რაც ვეგრულად და მუხას ნიშნავს. ხის თაყვანისცემასთან არის დაკავშირებული წარმოდგენები სიცოცხლის ხის შესახებაც. ეს ხე, მორწმუნეთა შეხედულებით, უზარმაზარი იყო და ყველაზე დიდხანს ცოცხლობდა, არსებობდა რწმენა, რომ ამ ხის უამრავი ნაყოფი მის შვილებს წარმოდგენენ, ფრინველები კი მაცხოვრებლებს. ასეთი ხე თითქოს ცას წვერით ებჯინებოდა, ფესვებით კი — ქვესკნელს.

სიცოცხლის ხის მოტივის ნიმუშები შემორჩენილია ჩეენში ორნამენტის სახით, რომელიც ნაქარგობაში, ხეზე კვეთილობაში და სხვ. გვხდება.

ხისა და მცენარეულის კულტთან ერთად ძველ საქართველოში მეტად ფართოდ იყო წარმოდგენილი ცხოველთა თაყვანისცემაც. ამ კულტის უფრო დაწინაურებულ საფეხურთან ერთად შემონახულია აღრეული წარმოდგენებიც. თაყვანისცემისა და კულტის ობიექტად არა მარტო ძლიერი გარეული და შინაური ცხოველები გველინებიან, არამედ ქვეწარმავლები და სუსტი ცხოველებიც, როგორიც არის გველი, ხელიკი, თაგვი, ბაყაყი, კვიცი, ხბო, მამალი და სხვა. სვანეთში აქ ჩამოთვლილი ცხოველებისაგან არჩევდნენ ისე-



თებს, რომლებიც სხვა დანარჩენთაგან განსხვავდებოდნენ ვერცხლის ლისფერი ან ოქროსფერი ბრწყინვალებით. რომელიმე ცხოველი ყველა ოჯახს ჰყავდა და მას მეზის ეძახდნენ. ცოტორწმუნე სვანის შეხედულების თანახმად, მეზის მოკვლა ოჯახის უფროსი დიასახლისის სიკვდილს გამოიწვევდა: ხალხის წარმოდგენით, მეზირების საცხოვრებელი ბინა იყო სახლი, „სენა“ და გარეთ — გორაკები. ისინი შემდგომში იჯახის კერის მფარველებიდან გადაიქცნენ ადგილის მფლობლებლად და ამის შესაფერისად მათი სამლოცველოებიც აშენდა ჭალებში და ბორცვებზე — დასახლებული პუნქტების ახლოს. ეს ცხოველები სხვადასხვა დროს სხვადასხვა ბუნებისა და ზებუნების ძალის განმასახიერებელ არსებებად იყვნენ წარმოდგენილი და ემთხვეოდნენ სათანადო საწარმოო წესებს (შემგროვებლობითი მეურნეობა, ნადირობა, მესაქონლეობა და მიწათმოქმედება).

მეტად ძლიერი ცხოველი იყო, რომელსაც მაგიური ძალა ჰქონდა. იგი მფარველობდა ადამიანებს. სვანები გაურბოდნენ მგლის მოკვლას და თუ იგი შემთხვევით შემოკვდებოდათ, ტიროდნენ და ბოდიშს ახდიდნენ უნებური შეცდომის გამო.

ამ შემთხვევაში ჩვენ საჭმე გვაძეს ძველ ტოტემისტურ ნათესაურ კავშირთან, რომელიც ცხოველთა ამ სახეობასა და ადამიანთა შორის არსებობდა ძველი შეხედულების თანახმად.

ამ ღრის თაყვანისცემის ობიექტი თითქმის ყოველი ცხოველია, ე. ი. ცხოველთა მთელი კლასი. განვითარების შემდგომ საფეხურზე მთელ ჯგუფს გამოყოფა ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე ძლიერია, ყველაზე ლამაზი და სხვებისაგან რაიმე ნიშნით გამოიჩინევა. იგი ითვლებოდა ნადირთა პატრონად. ბოლოს, ხალხური ჩაწენის თანახმად, ეს ცხოველური სახის პატრონა ადამიანის სახეს იღებს, ე. ი. ხდება მისი ანთროპომორფიზება, იგი ღვთაებად იქცევა, რომელიც უკვე ფაზე აჰყავთ.

ნადირთა ღვთაებებიდან საქართველოში ცნობილია სვანური ნაცირობის ქალ-ღმერთი ოქროსთმიანი ღალი, ხევსურული ოჩოპინ-ტრე და ანატორი, მეგრული უზი ანთარი და სხვ.

ანიმისტური წარმოდგენების საფუძველზე, სული ჰყავს საგნებაც. „ჩვენი წინაპრების შეხედულების თანახმად, — წერს ვ. ბარაველიძე გამოკვლევაში „ქართველი ხალხის რელიგიური აზროვ-

ნების. ისტორიიდან", — ყოველ საგანი არა მხოლოდ საგანი იყო / განკუთხული მიზანი განკუთხული განკუთხული / თავისთავად, არამედ მას ჰყავდა თავისი სული, რომელიც მშენების განს პატრონობდა, ყარაულობდა და მფარველობდა. მეგვარი სულები ბოლო დროს ქრისტიანობის ზეგავლენით ცნობილი იყვნენ ანგელოზების სახელწოდებით¹. ასეთი სული ჰყავდა, მაგალითად, საკულტო დანიშნულების დროშას, ე.წ. ხატის დროშას, ხატის განძს, ქვაბ-საკიდელს. ცნობილია აგრეთვე კარის ანგელოზი და სხვ. მსგავსი ხასიათის სული ჰყავდა ადამიანსაც მფარველი. სულის სახით. ხევსურეთში, ძველი რელიგიის თანახმად, ასეთ ანგელოზს ანუ სულს ეწოდებოდა „კაცის მცავ-მფარავი ანგელოზი“.

აღამიანს არა მარტო მფარველი სული ჰყავდა, არამედ არსებობდა რწმენაც მისი გარეშე სულის შესახებ. ცორუშორწმუნეთა წარმოდგენით, ეს სული ბუჩქებში, ტყეში ან რაიმე საგანში ცხოვრობდა. მისი დაზიანება აღამიანის დაზიანებას იწვევდა. წარმოდგენები გარეშე სულის შესახებ კარგად არის შემონახული. ქართულ ზღაპრებში, რომელთა მიხედვით, მაგალითად, დევის სული მოთავსებულია ქოთნის ნატეხში ან ცოცხლში, ან და რომელიმე ცხოველის თავში ჩადგმულ კოლოფში და ა. შ. ხშირად ეს სული ფრინველის სახით არის წარმოდგენილი.

ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც გვხვდება გაღმონაშობი, რომლებიც გარეშე სულის რწმენაზე მიუთითებენ. მაგალითად, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, თეძმის ხეობაში, სოფელ რკონთან იდგა ცაცხვის ხე, რომელიც ჭავახიშვილთა საგვარეულო სალოცავს წარმოადგენდა. როდესაც ამ გვარეულობის რომელიმე წევრი ავად გახდებოდა, ცაცხვან მივიღოდნენ და გულმოდგინედ გასინჯავდნენ. თუ მისი ტორები მთელი აღმოჩნდებოდა, კარგი ნიშანი იყო, ავადმყოფის განკურნებას აღარ ეკვიდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უბედურებაში იყვნენ დარწმუნებულნი. გარეშე სულის კონცეფციასთან არის დაკავშირებული ახალ დაბადებულის სახელზე ხის ჩარგვის ჩვეულებაც, რომელიც გურიაშია შემონახული.

ქართველ ტომებში განსაკუთრებით გავრცელებული იყო რწმენა სულის ორეულის შესახებ. ეს სული, მორწმუნეთა წარმოდგენით, აღამიანის სიკვდილის შემდეგ საიქონში განაგრძობდა ცხოვრებას.

¹ ვ. ბარ დავ ე ლი ი ძ ე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიდან, მიმომზიდველი, I, გვ. 123, 1949 წ.

მას ისევე ესაჭიროებოდა კვება, ტანსაცმელი და სხვა, როგორც
ცოცხალ ადამიანს. აქედან მომდინარეობს მიცვალებულისთვის მართვა
ტანსაცმლის, ნივთების, საკვებისა და სხვათა თან ჩატანების წეს-
ჩვეულება. მიცვალებულთა სულები, იმდენად რეალურად მაინ-
დათ, რომ მათ ზრდის უნარსაც კი მიაწერდნენ. საიქიოს შესახებ
დარჩენილი წარმოდგენები ნათელ სურათს იძლევა იმაზე, თუ რო-
გორ ესახებოდათ ჩვენს წინაპრებს მომავალი „სამუდამო“ ცხოვ-
რება იმ ქვეყანაში. სული ორეული უსათუოდ თავის სამყოფელ ად-
გილას უნდა დაბინავებულიყო. იმ შემთხვევაში, თუ არაბუნებრი-
ვი სიკვდილით ვინმე გარდაიცვლებოდა, — ან წყალი დაახრჩობდა,
ან ზვავი წაიღებდა და ა. შ., — მორწმუნება წარმოდგენით სული
სააქაოს რჩებოდა, დახეტიალებდა, ზოგჯერ მას ავთ სული ეპატრო-
ნებოდა და სხვა. ამიტომ საჭირო იყო მისი პოვნა და ადგილზე მიყ-
ვანა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სულის გადასვენების სხვა-
დასხვა წესი არსებობდა. ამ მხრივ საყურადღებოა აფაზური წეს-
ჩვეულება, რომელიც ქართველ ტომებში შემონახულ წესს ემ-
სგავსებოდა. მოვიყვანთ მას, როგორც სრულყოფილად შემონა-
ხულს.

აფხაზების წარმოდგენით, წყალში დამხრჩვალის სულს არ
შეეძლო იმ ადგილის პოვნა, სადაც მისი წინაპრები განისვენებდნენ. იგი დაძრწოლდა მდინარის ირგვლივ და ღამდამობით საცოდავად
კვნესოდა, ან სასოწარკვეთილად გაჰკიოდა და სხვ. საჭირო იყო ამ
სულის პოვნა და ადგილზე მისვენება. ამ მიზნით მთელი სოფელი
შეგროვდებოდა იმ ადგილას, სადაც უბედურება მოხდა. მდინარის
ერთი ნაპირიდან მეორემდე გადაჭიმვდნენ აბრეშუმის ლამაზ ზო-
ნას, რომელზედაც მიმაგრებული იყო ახალი სუფთა გუდა. გუდის
მიმაგრების დროს წარმოთქვამდნენ: „სულო (სახელი დამხრჩვალი-
სა), მოვედით, რომ სახლში წაგიყვანოთ, გამოვაყენი, იქ დაგვხვდე-
ბიან ვისაც უყვარხარ და ვინც შენ გიყვარს. წამოდი, გაიხარე და
ჩვენც გაგახარე!“ გუდის პირი ამ დროს გახსნილი იყო. ხალხი
ორად გაიყოფოდა, ნაწილი მდინარის ერთ მხარეს დარჩებოდა, ნა-
წილი მეორეზე გადავიდოდა. გამართავდნენ ცეკვა-თამაშსა და სიმ-
ღერას, რათა სულს მწუხარების არ შეშინებოდა და უარი არ ეთ-
ქვა გუდაში შესვლაზე. საგანგებოდ არჩეული პირები აკვირდებოდ-
დნენ გუდას: თუ იგი გაიბერებოდა, ეს სულის შიგ შესვლის ნიშა-
ნი იყო. მომღერალ-მოცეკვავენი ტონს შეანელებდნენ, უფრო ტები-
ლად იწყებდნენ სიმღერას, რათა სული არ დაეტრთხოთ და, ბოლოს,



ნელ-ნელა შეწყვეტდნენ მხიარულებას. გაიბერებოდა თუ არა გულა, უცებ პირს მოაკრავდნენ, ისევ ამღერდებოდნენ და ასე წავიდოდათ ნენ დანიშნულების ადგილისაკენ.

რწმენასთან გარეშე სულის შესახებ მჭიდროდ არის დაკავშირებულის მიცვალებულის კულტი. ვინაიდან, ადამიანის წარმოდგენით, სული ზებუნებრივი ძალისა და უნარის შემცველი იყო და შეეძლო გავლენა მოეხდინა მის ბედ-ილბალზე, ადამიანი ცდილობდა მისი კეთილ-განწყობილება მოეპოვებინა, ესიამოვნებინა და გული მოეგო. უამრავი ხარჯი, რომელიც მიცვალებულთან არის დაკავშირებული, აქედან მომდინარეობს; მუსიკა, ყვავილები, გარდაცვალებულთათვის დოლის გამართვა და სხვა, თავდაპირველად სულთა გასართობი და მესიამოვნებელი ელემენტები უნდა ყოფილიყო.

სვანეთში შემონახული იყო სულებისათვის განკუთვნილი საგანგებო დღეობა, ე. წ. ლიფანალი, რომელიც სვანეთის ზოგიერთ კუთხეში ერთ კვირამდე გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში ოჯახის პატრონები არაფერს არ ზოგავდნენ, რათა სულებისათვის უკეთესი სუფრა გაემართათ და მათთვის ესიამოვნებინათ.

რაკი სწამდათ, რომ სააქაოს დაკლული საქონელი და გაწეული ხარჯი საიქიოს მიცვალებულთა სულებს მიუვიდოდათ, მიცვალებულის პატრონები წელზე ფეხს იდგამდნენ და შესაფერის რიგებს მართავდნენ. ასეთი რიგების გადახდა ოჯახს მეტად მძიმე ტვირთად აწვებოდა და გაჭირვებული აგდებდა მიცვალებულისთვის განკუთვნილი ზოგიერთი რიგი იმდენად დიდ ხარჯს მოითხოვდა, რომ მისი გადახდა, მიუხედავად დიდი სურვილისა, ზოგ ოჯახს არც შეეძლო. სვანეთში ერთი ასეთი რიგთაგანი იყო : „ლაგვანი“. ლაგვან-გადახდილი მიცვალებულები, ხალხური რწმენით, საიქიოში სამუდამოდ დაკამაყოფილებულად გრძნობდნენ თავს და საიქიოში მყოფ სხვა მიცვალებულთა სულების წინაშე დიდგულობდნენ. თუ ოჯახის წევრებს სიკვდილის შემდეგ გულშემატკივარი არავინ რჩებოდათ, ისინი სიცოცხლეშივე იხდიდნენ თავისი სახელობის რიგს. ღმბერი-ალისტური ომის დროს ერთ-ერთ სვან ქალს 35 ხარი დაუკლავს თავის სახელობაზე და ამით თავისი საიქიო ცხოვრება უზრუნველყოფა.

გარდა იმისა, რომ წარმოდგენები საიქიო ცხოვრებაზე, შიში და პატივისცემა მიცვალებულთა სულების წინაშე ჩვენს წინაპრებს აიძულებდა რაც შეიძლება მეტი და უკეთესი დაეხარჯათ მათთვის და ამით ზოგჯერ გალატაკებამდე მისულიყვნენ. ეს შეხედულება

კარგად გამოიყენა ქრისტიანულმა რელიგიამ, რომელიც გაბატონის ერთ-ერთ უძველეს მართლის იდეოლოგია იყო. ქრისტიანობა, რომელიც აშენებს უძველეს კლასის იდეოლოგიას და მოთმინებას ქადაგებდა, აღრმავებდა რწმენას საიტო ცხოვრებაზე. იგი ღალადებდა, რომ ჩაგვრა, გაჰირვება, უფლებობა ამ ქვეყნად დროებითა, რომ ამას მოსდევს საიტოში მოდმივი, მშეიდი და უზრუნველი ცხოვრება. ქადაგებდა რა მოთმინებას, იგი ამით ახშობდა მშრომელ მასებში პოლიტიკური თვითშეგნების გალვიძებას, ექსპლოატატორთა მიმართ პროტესტის ხას, განთავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილს და ჩაგრულ ხალხს სამუდამო მონაბისა და მორჩილებისაკენ მოუწოდებდა.

ჩვენი წინაპრების სარწმუნოებრივი შეხედულების თანახმად, ადამიანს არა მარტო მთელი ორგანიზმის სასიცოცხლო სული გააჩნდა, არამედ მისი ორგანიზმის ცალკეულ ნაწილებსაც თავისი საკუთარი ანუ პარტიალური სულები ჰყავდათ. ასეთი სულები იყვნენ ფალიური ხასიათისა, რომელთაც ნაყოფიერების ფუნქცია ჰქონდათ და ისრებული, თავის ქალისა, ძვლებისა. თმისა და ა. შ.

არსებობდა ისეთი შეხედულებაც, რომ ადამიანის სახელი ერთერთი მისი სულია; რამდენი სახელიც ჰქონდა ადამიანს, იმდენი სული ჰყავდა მას. ხევსურეთში მრავალსახელიანობა "გავრცელებული მოვლენა იყო. როდესაც ბავშვი დაიბადებოდა, დაარქმევდნენ წიგნის, ე. ი. ნათლობის ქრისტიანულ სახელს, მიცვალებულის სულის სახელს, ხატის სახელს და ზოგჯერ ზედმეტ ანუ „თიკუნ“ სახელს. ხატისა და სულის სახელის დარქმევის მიზანი ის იყო, რომ ახალდაბადებულისათვის მფარველი გაეჩინათ როგორც სულის, ისე ღვთაების სახით.

რელიგიური კულტებიდან ყველაზე მაღალ რელიგიად ასტრალური, ე. ი. მნათობთა თაყვანისცემა ითვლება.

თუ ცხოველთა კულტი უკავშირდება მონადირეობის პერიოდს, როდესაც ადამიანის არსებობა დიდად იყო დამოკიდებული ნადირობით მოპოვებულ საზრდოზე, როდესაც ადამიანი რაციონალურ მოქმედებასთან ერთად თხოვდა და ეხვეწებოდა ნადირთ პატრიკებსა თუ ღვთაებებს ნადირობაში ხელის მომართვის, ნადირთა გამრავლებას, სსტრულური კულტი ძირითადად მიწათმოქმედების პერიოდში განვითარდა.

მონადირეობისა და მესაქონლეობის ხანაში მზე და მთვარე ყურადღების ცენტრში არ იყო მოქცეული. დროთა განმავლობაში



ანიმისტური წარმოდგენების გავლენით ეს მნათობები გაცოცხლდა ისინი გაადამიანებული არიან. განსახვება, მორწმუნეთა წარმოლებები გენით ის არის, რომ ისინი ჰედა სამყაროში არიან მოთავსებული. ამ კონცეფციის დასაღასტურებელ შესანიშნავ მასალას გვაწვდის ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება. რიგი მასალების მიხედვით, მზე და მთვარე და-ძმანი არიან, რიგი მასალებით — ცოლ-ქმარი. მათ დედები ჰყავთ. მთვარის ლაქები დედის მიერ ხელის განარტყა-მია, როცა ის ცოშს ზელდა, და ა. შ. მზე უმეტეს შემთხვევაში დედ-რობითი სქესის არსებად არის წარმოდგენილი, მთვარე კი ვაჟად. ამას მოწმობს ხალხური ლექსიც:

მზე დედა ჩემი,
მთვარე მამა ჩემი,
და წვრილ-წვრილი ვარსკელავები
და და ძმა ჩემი.

განსაკუთრებით დააინტერესა მთვარემ ადამიანი. მთვარის დაბ-ნელება, მისი ფაზები იწვევდა ადამიანის, დიდ გაყვირვებას. ჩნდება წარმოდგენა მთვარის სიკვდილისა და დაბადების შესახებ. მთვარის ფაზების დამთხვევა ხდება გეოფიზიკურ მოვლენებთან (ზღვის მიმოქ-ცევა, ამინდი), იგი იწვევს მრავალი მცენარეულის ზრდას. აქედან გამომდინარე, მრავალი დარგის სამეურნეო საქმიანობის დაწყება მთვარის ფაზებთან იყო დაკავშირებული.

საქართველოში მთვარის თაყვანისცემის დამამტკიცებელი მრა-ვალი გადმონაშთი არსებობს. გარკვეულია, რომ მთვარის თაყვანის-ცემა საქართველოში წმინდა გიორგის კულტმა შეცვალა, რომელიც საქართველოს ყოველი კუთხის სალოცავად იქცა.

მთვარის თაყვანისცემასთან ერთად, ჩენჭი ფართოდ იყო გავ-რცელებული მზის კულტიც. მზე ითვლებოდა სიცოცხლის, სით-ბოს, სინათლის, ნაყოფიერების მომნიშებლად. იგი მიაჩნდათ ადა-მიანთა, მიწის ნაყოფიერების, მოსავლის მფარველად, თვალის სი-ნათლის მიმნიჭებლად და ა. შ.

საქართველოში მზის ღვთაება დედრობითი სქესად მიაჩნდათ, იგი ცნობილი იყო მზე-ქალის, ბარბალე, ქალ-ბაბარის სახელით. დროთა განმაელობაში დედამიწის, მცენარეულის, ცხოველებისა და სხვათა მფარველი პატრონები ღვთაებებად იქცნენ, ცაზე ავიღნენ



და მნათობებს დაუკავშირდნენ. ასეთ ასტრალური ხასიათის ღვთაეს ბებად გვევლინებიან მცენარეულობისა და ნაყოფიერების ღვთაებრინანა, ფქვა-ხევსურთა უმაღლესი ღვთაება მორიგე, დარ-ავდრის გამგებელი ელია და სხვ.

ქართველთა ძევლი რელიგია ძირითადად ასტრალურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ როგორც დავინახეთ, მასთან ერთად შემორჩა უძველესი და უხეში წარმოდგენები კულტის სათანადო ელემენტებით. საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლასთან ერთად ეს პრიმიტიული წარმოდგენები შეიცვალა ჩამოყალიბებული და რთული რელიგიური სისტემით, რამაც გამოხატულება დღეობებში პოვა. ქართული რელიგიური დღესასწაულები გენეტიკურად ძირითადად ამ ძველ წარმოდგენებს უკავშირდება, ოღონდ გარკვეულ ეპოქებს თავისებურად გამოუყენებია ისინი, თავისი კვალი დაუჩნევია მათვეს ეს დღეობები მათში მოცემული კულტით მეტად რთული შინააზ-სისაა. „დღევანდელი სახით ის წარმოადგენს ჯამს ანუ ნაერთს, კონგლომერატს ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურების რწმენისა და სარწმუნოებრივი წესებისას, რომლებმაც ისტორიის მანძილზე მრავალგვარი ცვლილება განიცადეს ხალხის განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ზეგავლენის გამო“¹. ეს დღეობები ძალიან ხშირად, განსაკუთრებით კი საქართველოს ბარში ქრისტიანული წმინდანების კულტთან შერწყმული სახით იყო წარმოდგენილი.

* *

რელიგიის განვითარების ჯერ კიდევ აღრეულ საფეხურებზე ჩნდებიან პირები, რომლებიც სათავეში უდგებიან რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულებას. კულტის ეს მსახურნი ხელმძღვანელობ-დნენ დღესასწაულის რიტუალურ მხარეს, განაგებდნენ ღვთაების, ე. წ. ხატის სამეურნეო ცხოვრებას, იღწვოდნენ მისაღმი რწმენის განტიკებისათვის და სხვ. თავდაბირველად ეს პირი ღვთაების რჩეულად წარმოიღინებოდა. მორწმუნეთ სჯეროდათ, რომ იგი უშუალოდ იყო დაკავშირებული ღვთაებასთან, ესაუბრებოდა მას და შემდეგ ხალხს აცნობდა ხატის ნება-სურვილს. ღვთაების რჩეულად გახდომას განვითარების აღრეულ საფეხურებზე საფუძვლად

¹ ვ. ბარდაველი იძე, სკანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ტ. I, აბ., გვ. VIII, 1939.



ნერვული ხასიათის დაავადება ედო, რასაც ღრმა რელიგიური რწმენა ნა ემატებოდა. წარმოიდგენდა რა თავს ღვთაების რჩეულად, ჰუთხ პირი ადვილად მოღიოდა ექსტაზში და წინასწარმეტყველებდა, ღვთაების ნება-სურვილს ამცნობდა ხალხს.

ასეთი რჩეული ჩვენში ცნობილი იყვნენ ქადაგის, ხატის მონისა და მკითხავის სახელით.

დროთა „განმავლობაში ქადაგ-მკითხავები თვითონვე დაინტერეს-დნენ თავისი „თანამდებობით“. ისინი ათასგვარ ხერხებს მიმართვებნენ, რათა „მიზნისათვის მიეღწიათ, თავისი „თანამდებობა“ განემ-ტკიცებიათ და მემკვიდრეობითად ექციათ. ამის მიზეზი ის გარემო-ება იყო, რომ რელიგიის თანდათან კლასობრივი ჭასიათი მიიღო, იგი გაბატონებული კლასის იარაღად იქცა, კულტის მსახურნი მმარ-თველ წრებში მოექცნენ, მათ დიდი საზოგადოებრივი წონა და ეკონომიკური შემოსავალი გაუჩნდათ. ყველაფერი ეს კი ქადაგ-მკით-ხავად ყოფნას სახარბიელოს ხდიდა.

დასახელებული ხატის მსახურის მოვალეობას შეადგენდა პირ-ველ რიგში ღვთაებისადმი რწმენის განმტკიცებას ზრუნვა; მასვე-უნდა გაეწია მეთვალყურეობა რელიგიური წესების შესრულებისა-თვის, ყურადღება მიექცია ხატის უძრავ-მოძრავი ქონებისათვის და ეზრუნა მის გაფართოებაზე. იგი წინასწარმეტყველებდა აგრეთვე მოსალოდნელ ამბებზე, მტრის თავდასხმაზე, მოსავლიანობაზე და-სხვა. გარდა ამისა, ხატის მსახურნი მკურნალის ფუნქციასაც ას-რულებდნენ, — ავადმყოფებს ხატ-ღმერთების ძალით მორჩენას პირდებოდნენ. მათ საექიმო პრაქტიკაში წამლების გამოყენებას ნაკ-ლებად ჰქონდა ადგილი. მათი რჩევა ხშირ შემთხვევაში ავადმყო-ფისათვის დამლუპველი იყო, ხოლო ოჯახისათვის ეკონომიკური და მორალური გაჩინაგების წყაროს წარმოადგენდა.

ფსიქო-ნერვულად დაავადებულთ თუ სხვა რაიმე ორგანული ავადმყოფობით შეპყრობილ პირთ ისინი არწმუნებდნენ, რომ ღვთაების წინაშე რაიმე ცოდვის ჩადენის გამო იგი სასჯელს ადებს მათ. ავადმყოფობის, უბედურების თავიდან აცილება კი შესაძლებ-ლად იყო მიჩნეული მსხვერპლის შეწირვის, შესაწირავის მირთმე-ვის, ღამის თევისა და სხვა წესების დაცვის გზით.

თიანეთის რაიონში მუშაობის დროს ქართველ ეთნოგრაფებს შემთხვევა ჰქონდათ დასწრებოდნენ რელიგიურ დღესასწაულს, სადაც „ხატის დამიზეზებულ-დაჭრილთა“ მთელი პლეადა იყო

წარმოდგენილი. ისინი, საგანგებო თეთრ სამოსელში გამოწყვეტაში
 ბილნი, ფეხშიშველნი, გატაცებით უვლიდნენ საცეკვაო წრეში უფლება
 შემდეგ ცეკვა-თამაშითა და სიმღერით ექსტაზში მოსულნი ქადა-
 გად ეცემოდნენ. ისინი თავგამეტებით გაჰკიოდნენ თავიანთ „ცოდ-
 ვებზე“. დაჭერა-დამიზეზების ძირითად მიზეზად მორწმუნენი
 თვლიდნენ ხატ-სალოცავების დანგრევაში მონაწილეობის მიღებას,
 ხატის საკუთრებად მიჩნეული ადგილების შელახვას. ეს ვითარება
 სიმპტომატურია: გამოცალა რა საფუძველი ღვთაებისადმი რწე-
 ნას, აქა-იქ შემორჩენილი ცრუმორჩემუნენი განსაკუთრებით ცდი-
 ლობენ რელიგიის ნაშთების შემაგრებას, ხალში სარწმუნოების •
 განმტკიცებას და ღვთაებისადმი მიმართულ ყოველგვარ საწინააღ-
 მდეგო მოქმედებას ასეთი პირის დაავადებისა და ზარალის მიზეზად
 თვლიდნენ. ისინი შთააგონებენ დაავადებულთ, განსაკუთრებით კი
 ნერვული ავადმყოფობით შეპყრობილთ, მივიდნენ სალოცავში, ევედ-
 რონ ღვთაებას განკურნებაზე, შესწირონ მსხვერპლი, უთიონ ღამე,
 იშიმშილონ და სხვ. ხატის „დაჭერილები“, რომლებიც ძირითადად
 ნერვული ავადმყოფობით, ისტერიულობით და ჰალუცინაციები-
 სადმი მიღრეკილებით შეპყრობილნი არიან, შიმშილისა და სხვა გა-
 მალიზიანებელი მოქმედების (შიმშილობა, გაუთავებელი ცეკვა და-
 ცემამდე, თავის აქეთ-იქით ქნევა, კოტრიალი და სხვ.) შესრულების
 შედეგად ადვილად მოღიან რელიგიურ ექსტაზში და ღვთაების
 წინაშე ჩადენილი ცოდვების შესახებ გაჰკივიან. არა ერთი და ორი
 შემთხვევა ყოფილა წარსულში ქადაგ-მკითხავების რჩევით სამკურ-
 ნალოდ ხატში წაუსული პიროვნების დაღუპვისა, მისი ოჯახის ეკო-
 ნომიური გაჩანაგებისა. ხევსურეთის სინამდვილეში იყო შემთხვე-
 ვები, როცა ავადმყოფის პატრონებს აუარებელი შესაწირავი მიპ-
 ქონდათ ხატისათვის, ხოცავდნენ სამსხვერპლო საქონელს, ისედაც
 მცირე ადგილ-მამულის პატრონნი მამულებს სწირავდნენ მას და
 სხვ. რეალური მკურნალობის გარეშე დარჩენილი ავადმყოფი კი
 ხშირად იღუპებოდა.

ქადაგ-მკითხავთა რჩევას, რომელთა მიზანიც რელიგიური
 რწმენის განმტკიცება და ამით თავისი პირადი ეკონომიური კეთილ-
 დღეობის მოპოვება წარმოაღვენდა, დაბექავებული, რელიგიური
 რწმენით გაბრუებული ხალხი ბრძად ემორჩილებოდა და ნადგურ-
 დებოდა. ქადაგობა-მკითხაობის გაღმონაშთებმა ძალიან მცირედად,
 მაგრამ მაინც იჩინა თავი ჩევნში. მაგალითად, სამამულო ობის

წლებში ფშავ-ხევსურეთს ეწვია ვინშე მკითხავი სონა. იგი სოფლი-
დან სოფელში გადადიოდა და თავისი ხელობის წყალობით საყმანებული-
გასამრჩელოს იღებდა, ეცემოდა ქადაგად, წინასწარმეტყველებდა
მომავალზე, ომში წასულთა შესახებ ავრცელებდა ათასგვარ უიმე-
დო ხმებს; უწინასწარმეტყველებდა ცოლებს ქრების ლალატს, აქე-
ზებდა ქალებს ერთმანეთის წინააღმდეგ და სხვ.

მორწმუნებს მისი ქადაგობა ერთხანს სჯეროდათ, მაგრამ რო-
დესაც ქართული ენის კარგად არმცოდნე სონა (ეროვნებით სომეხი-
იყო) ღვთაება ლაშარის ნაცვლად „რა შარი ვარ, რა შარის“ გაიძიო-
და და სათანადო მარაგის შემოკლების შემთხვევაში ქადაგობაში
რუსულ სიტყვებს ურჩევდა, ისინი საბოლოოდ დარწმუნდნენ მის
ფლიდობაში და გააძევეს.

კულტის მსახურებიდან განსაკუთრებული უფლებებით სარ-
გებლობდა ღვთაების მთავარი ქურუმი, რომელსაც აღმოსავლეთ სა-
ქართველოში ხევისბერი, დეკანოზი, ხუცესი ეწოდებოდა.

ხუცეს-ხევისბერი, რომელსაც ადრე ხატის ქადაგმენის ფუნ-
ქციები ჰქონდა დაკისრებული, თემის საერო და სასულიერო ცხოვ-
რებას განავებდა. იგი ყველა მთავარ სატაძრო რიტუალს და
მსხვერპლის შეწირვის წესებს ასრულებდა, თვალყურს აღევნებდა
სათემო ხატის ქონებას, მის საქონელს. ხელმძღვანელობდა ხატის
აგრარულ მეურნეობას და სხვ. ჯვრის ქადაგთან ერთად იგი ხატის
ქონების გაფართოებაზე ზრუნავდა და მიზანსაც აღწევდა. ზოგიერ-
თი მთავარი ხატები ძალიან მდიდრდებოდნენ; მათ ჰქონდათ აუარე-
ბელი სახნავ-სათვესი მიწა, ტყე, ბარად ვენახები, ჰყავდათ პირუტ-
ყვი და სხვ. ამ მხრივ ისინი მხარში უდგნენ ქართულ მონასტრებს,
რომლებიც დიდძალ ადგილმამულსა და ქონებას ფლობდნენ და სა-
ერო ხელისუფლებასთან ერთად ყვლეფდნენ და ავიწროებდნენ
მოსახლეობის დაბალ ფენებს, ეკონომიურად აჩანავებდნენ მათ.
ხატის ქონების მომვლელებად გვევლინებიან დროებით ან მუდში-
ვად არჩეული პირები, რომლებიც ხატის სამეურნეო პერსონალს
ქმნიან. ისინი უვლიდნენ მამულებს, იღებდნენ მოსავალს და დღეო-
ბებისათვის სათანადო სანოვაგესა და სასმელს ამზადებდნენ. მრა-
ვალრიცხვანი რელიგიური დღესასწაულები, რომელთა წარმოშო-
ბა გვერტყურად უძევეს აწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება,
დიდ სამსახურს მოითხოვდა. დღეობები, რომლებიც ხატში იშართე-
ბოდა, წლის დროების მიხედვით მოდიოდა. ზოგიერთი დიდი სამ-

ლოცველო (მაგალითად, გუდანის ჭვარი ხევსურეთში, ლომისა შთა
ულეთში და ა. შ.) დიდძალ ყმას აერთიანებდა. ყმები დღეუშეზოგადად
დროს ვალდებული იყვნენ შესაწირავი და მსხვერპლი მიერთმიათ
ლეთაებისათვის. ხატში სალოცავად წასვლა დიდ ხარჯს მოითხოვდა,
რაც ისედაც დატაკ გლეხის ოჯახს მძიმე ტვირთად აწვებოდა.

რევოლუციამდე და საბჭოთა ხელშისუფლების დამყარების შემ-
დეგაც ხშირად ნახავდით ხევსურეთიდან დღიურ სამუშაოზე წა-
სულ ხევსურს, რათა თავისი შრომის საფასურით ხატის საკლავი
ეშვენა. იგი დროსაც ხარჯავდა, ზარალიც მოსდიოდა და ოჯახს კი
არაფერი ემატებოდა.

დღეობები არა მარტო დიდ ხარჯს მოითხოვდა, არამედ მათ
აუარებელი სამუშაო დროც მიჰქონდათ. ზოგიერთი დღეობა —
4-5 დღე გრძელდებოდა; ამ ხნის განმავლობაში არ მუშაობდნენ,
რაც სამუშაო დღეთა რიცხვს მეტად ამცირებდა. დღეობასთან და-
კავშირებულ მუშაობის აღკვეთას თან ერთვოდა ე. წ. უქმების არ-
სებობაც. მაგალითად, სვანეთში წლის განმავლობაში 365 დღიდან
208 სამუშაო დღე იყო, 157 კი — უქმე. ეს რიცხვი თვალნათლივ
მოწმობს, თუ რამდენი დრო მიღიოდა უქმად, რაც თავისთავად
ხელს უწყობდა ეკონომიურ ჩამორჩენილობას, სიღატაკეს.

მას შემდეგ, რაც ადგილობრივ წარმართული ხასიათის რელი-
გიას ქრისტიანობა დაერთო და ნაწილობრივ შეერწყო მას, მმარ-
თველმა კლასებმა რელიგია უფრო მძლავრად გამოიყენეს ჩაგვრისა
და ექსპლოატაციის იარაღად.

ქრისტიანობამ, რომელიც წარმართული რელიგიის საფუძველ-
ზე აღმოცენდა, კარგად გამოიყენა ძევლი რწმენა-წარმოდგენები თა-
ვისი მიზნებისათვის. იგი აძლიერებდა რწმენას იმქვეყნიურ ცხოვრე-
ბაზე და აქ ტანგვის მორჩილებით ატანას ქადაგებდა; მანვე გამოიყენა
რწმენა ავსულებზე, ეშმაკებზე და „შემცოდეთ“ ჯოჯოხეთითა და
ეშმაკით აშინებდა. იგი სათნოებასა და მორჩილებას ქადაგებდა ვი-
თომ, როდესაც ამბობდა — გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა მოყ-
ვასი შენიო, სინამდვილეში კი ამ დოგმით იგი პრძოლის უნარის
ჩახშობასა და დაჩლუნებას ანხორციელებდა.

განსაკუთრებით მავნეა ეს ქადაგება დღეს, როდესაც ომის გამ-
ჩალებლები, ამერიკისა და სხვა ბურუუზიული ქვეყნების რეაქცი-
ული ძალების წარმომადგენლები, ძირგამომთხრელ, მუშაობას
აწარმოებენ სსრ კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების წინა-

აღმდეგ. რელიგია დოგმით: „გიყვარდეს მტერი შენი“ — მოუწოდებელი ხალხს მათი სიყვარულისკენაც. რა უნდა იყოს მტერი ზე მავნე დღეს, თავისუფლებისმოყვარე მშრომელი ხალხისათვის, რომლებიც ყოველნაირად იბრძვიან მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, კომუნიზმის დიადი იდეების განხორციელებისათვის.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკლესია დაუნდობელ აგიტაციას ეწევა კომუნიზმისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ, ლოცვა-კურთხევას ასხამს რეაქციული ბურუუზის მიერ მწევილობის წინააღმდეგ მიმართულ ბოროტ გეგმებს. გაბატონებული კლასი, მისი მმართველი წრეები ხელს უწყობენ რელიგიურ რწმენის განმტკიცებას, ვინაიდან ამით საკუთარ მდგომარეობასაც განამტკიცებენ.

დღეს ჩვენში მოსპობილია რელიგიის სოციალური და ეკონომიკური საფუძვლები, მოსპობილია ექსპლოატაცია და, ამდენად, მოსპობილია რელიგიაც. ამას განაპირობებს აგრეთვე ის გარემოება, რომ საბჭოთა ადამიანებს მეცნიერებისაკენ ფართო გზა აქვთ განსილი, მეცნიერება კი, როგორც აღვნიშნეთ, საფუძველს აცლის რელიგიას.

მიუხედავად ამისა, რელიგიის მცირერიცხოვანი გადმონაშთები კვლავ განაგრძობენ არსებობას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი სოციალისტური საზოგადოება ჯერ კიდევ სავსებით თავისუფალი არ არის მეცნიერების იდეოლოგიური გადმონაშთებისაგან. ამის მიზეზი ის არის, რომ ცვლილებები იდეოლოგიის სფეროში შედარებით ნელა მიმდინარეობს, ვიდრე სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაში. გარდა ამისა, ჩვენი სამშობლოს ზოგიერთ მხარეში შესუსტებულია ყურადღება მეცნიერულ-ათეიისტური პროპაგანდის მიმართ, რაც თავისთავად ხელს უწყობს რელიგიის ნაშთების არსებობას. რელიგიასთან ბრძოლა კი მეცნიერულ-ათეიისტური პროპაგანდის გარეშე შეუძლებელია.



ნელმოწერილია დასაბეჭდად 16.10.54 წ. ანაწყობის ზომა $6 \times 9\frac{1}{2}$,
გაღალდის ზომა 60×84 , სასტამბო ფორმათა რაოდენობა 1,75,
შეკვეთის № 1395, ტიჩაჟი 7.000, უ. 05946.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
აკ. წერეთლის ქ. № 3/5

Типография Издательства Академии Наук Грузинской ССР
ул., Ак. Церетели № 3/5

3560 1 856.

2.148/234

საქართველოს
მთავრობის

Кандидат исторических наук

Т. Очиаури

**ПЕРЕЖИТКИ СТАРЫХ ГРУЗИНСКИХ РЕЛИГИОЗНЫХ
ВЕРОВАНИЙ И ИХ РЕАКЦИОННАЯ СУЩНОСТЬ**

(на грузинском языке)

Издание Общества по распространению политических
и научных знаний Грузинской ССР

Тбилиси—1954